

გაზეთის ფასი

მაგზავნით ტფილისში	მაგზავნილათ:
და გარეშე ადგილებში:	— — — 6 მან,
მართის წლისა — 7 მან.	— — — 3 — 50 კ.
ნახევარის წლისა — 4 —	— — — 2 —
სამის თვისა — 2 — 50 კ.	— — — 2 —
ცალკე ერთის ნუმრისა გაუგზავნილათ — 3 შაური.	
„დროება“ გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით.	

# დროება

ტფილისში „დროების“ რედაქციის კანტორაში, მელიქი-შვილის და კაპა. სტამბაში, ხანის ქუჩაზე, მეტეოლოგის სახლში  
ტფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: ВЪ Тифлиси. Въ контору редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ“.  
რედაქციის კანტორაში მიიღება ყოველ-გვარი განცხადება სხვა და სხვა ენებზედ. ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის ჩვეულ-ბრივის ასობით გაზეთის სტრიქონზედ 8 კაპ.

ხელის-მოწერა მიიღება:

## საკოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

### შინაარსი:

ბრძანება ძავეკისის ნამესტნიკის გასამგებოში. ძალაქის ამბები. — პოლიტიკა: — საზოგადო მიმოხილვა. — იტალია. — ისპანია. — ანგლია. — მსხალეთი. ტელეგრაფები. — საქართველო. — რუსეთის ამბები. — ნამდვილი შემთხვევა ქართლში. — საქირა ცნობები.

### ბრძანება

ძავეკისის ნამესტნიკის სამმართველოსადმი. იანვრის 15-სა 1869-სა წელსა. მბილისში. ინიშნებან საქმის მწარმოებელი საქაბარლო ოლქის სახალხო სამხედროში, რომელიც ემსახურებოდა პორუჩიკი ნაშიმოვი ინიშნება მანჯის უხუცის მომრიგებელი მსაჯულის თანაშემწეთ; ნიკოლოზ სმიტტენი, რომელიც ემსახურებოდა ნამესტნიკის უმთავრეს სამმართველოში, ინიშნება ბაქოს ოლქის სასამართლოში პროკურორის ამახანაგთ, (იანვრის პირველიდან 1869 წლიდან). მომრიგებელი თანაშემწეებთ ინიშნებან, მბილისში: რომელიც მბილისის ოლქის სასამართლოში ირიცხებოდენ, მომრიგებელთა მსაჯულთა თანაშემწეებთ ადგილებზედ კანდიდატებთ: ბარბაკეცი — ბარბაკეცი ინიშნება მეორე განყოფილებაში მომრიგებელი მოსამართლის თანაშემწეთ, პოლტარაკცი და იოვან-

გულოვი მესამე განყოფილებაში. მანჯის მომრიგებელი მოსამართლის თანაშემწეთ შატრანოვსკი. მოსამართლე განყოფილებაში: ახალციხისაში: მომრიგებელი მოსამართლის თანაშემწეთ სერაფიმოვიჩი, რომელიც მბილისის ოლქის სასამართლოში იყო კანდიდატთ. ნუნი-საში: მომრიგებელი მოსამართლის თანაშემწეთ. ნახაროვი, რომელიც იყო კანდიდატთ მანჯის ოლქის სასამართლოში. მუთაისში: კანდიდატი მბილისის სასამართლოში ბარონი ძორაძე. ოლქის სასამართლოში მომრიგებელი მოსამართლეთა თანაშემწეთ ადგილებზე კანდიდატებთ ინიშნებან: მბილისისაში: ნიკოლოზ შორანოვი და პალერიან ოლოვსკი, რომელიც იყენენ ნამესტნიკის უმთავრეს სამმართველოში და ტუტევიჩი, რომელიც იყო შრენის ოლქის სასამართლოში კანდიდატთ. მანჯაში: ნიკოლოზ ძალანთაროვი, რომელიც იყო ნამესტნიკის უმთავრეს სამმართველოში. მუთაისში: ნიკოლოზ სტრუვე და შრიგოლ ბამრეკელი, აგრეთვე სერაფტის თანაშემწე მუთაისის ოლქის სასამართლოში ძლიენი. მუთაისის სამოქალაქო არხიტექტორათ ინიშნება ინჟინერი პორუჩიკი თავადი თარხან მოსურავოვი. მამოლიან თანამდებობიდან: საეკლესიო მამულების გაზგები ბორის ოკრუგში, სტატისკის სოვეტნიკი ღროზდოვი, თავისი თხოვნისამებრ ავათყოფობისგამო. წვერი ახნაურების მხრივ კმების საქმეების მხრივ პრისუტსტვიში მყოფი მაიორი თავადი ლორთქი-

ვანიძე, იმისი სურვილისამებრ. ლითონციან. მბილისის კლასიკური გიმნაზიის ინსპექტორი, კოლლეგის სოვეტნიკი ხანჯიევი და გუბერნსკის სოვეტნიკი ნოიტაკი, დამოქონის ნაწილისა; ორნივე ორის თვით რომლის განმავლობაში არ ეკარგებათ ჯამაგირი.

### ძალაქის ამბები

ღამის ოთხ საათზე იანვრის 11-ს რიცხვს, სამი უცნობი კაცი შევიდნენ ზეჟან პრუიძის ფურნეში. ჰეკალის ქუჩაზე, ვითომც პური უნდა ეყიდოთ. რომ შევიდნენ ლუქანში, მაშინვე მისციენდენ პატარა ყუთსა, სამი ფურნეში მყოფი კაცი დასჭრეს ხანჯლითა და ყუთი გააქციეს, რომელიც იყო თერთმეტი აბაზი.  
იანვრის 11-ს დღის 6 საათზე შევიდნენ სამიკიტნოში ოთხი, თუ ხუთი კაცი და მოკლეს ხანჯლით მცხეთელი პრეტმა ძარაპეტოვი, დასჭრეს ღვიფთ ბურგინძე მძიმეთ და ღვიფთი მიროტაძე მსუბუქად. მს ლუქანი არის ატამანის ქუჩის კუთხეზედ, ორდენანგაუზს ახლოს და ეკუთვნის შალამოვსა. მართ დაჭრილობიდან გამოვარდა გარეთ და შეატყობინა ყარაულებსა; მაგრამ მანამ ისინი მიიღოდნენ ავაზაკები, იქ აღარ იყვნენ. მეტე პოლიციას შეატყობინეს. პირველი ოტდელნიის პოლიცემისტერმა დაუწყო დევნა და ორი იმათგანი დაიჭირა; პირველი 8 საათზე და მეორე 10-ზე. ორნივე მბილისსელი იმდინდენ. დაჭრილი და მნაშვენი წარუგდნენ პირველი განყოფი-

ების მომრიგებელს მოსამართლეს, როგორც რიგია. დანარჩენებს ცებდენ.  
სტეჟან ზეჟურკოვი და მანო ჩიმახიძე, რომლებსაც სდევდა პოლიცემისტერი დასაჭერათ და რომლებიც არიან დამნაშავენი კაცების დაჭრაში, ღამით იანვრის 14-დან 15-ზე დაიჭრეს პოლიციის აფიცრებმა: ლოლაძემ და ამირხანოვმა. მსენი წარუგდნენ მომრიგებელს მსაჯულს გამოასაძებლად, როგორც რიგია.  
ექტორმა სცეპურამ, კოლლეგის სოვეტნიკმა გამოგზავნა პოლიციაში განცხადება და დამტკიცება, რომ ღამის ოთხ საათზე, იანვრის 16 მოკვდა თავისი ხელით მიღებულის საწამლაისგან ბარბარე ულდანოვისა, ცოლი ტელეგრაფის ჩინოვნიკისა.  
მბილისის ფაჩტის სამმართველო ამით აცხადებს, რომ ხრამის სტანცია მოიწალა და დღეის იქით მუღალლოდან სალოლის სტანციაზე შეუსვენებლოვ ივლიან.

## პოლიტიკა.

„მთავრობის უწყებებიდან“ (Правительственный Вѣстникъ):  
ახალი წელიწადი კარს მოაღდა მეროპის სახელმწიფოებს, რომელნიც ერთად შეკრებილან მსხალეთსა და საბერძნეთს შუა ამტყადრ უთანხმოების განსასჯელათ იმათისავე თანადასწრებით. 28 დეკემბერს (9 იან-

### შეშარიტი შემთხვევა ქართლში.

მისაც გსურთ შეიტყოთ ნამდვილად ქართლში ჩვეულება და ხასიათი დაბალის ხალხისა, აი, გულხმვირად მოისმინეთ ქვეშარიტი შემთხვევა ესე.  
სასტიკს ზამთარში 1843 წელსა, ერთმან ვინმე სოფელმა გლხმა, ყელიერის წინა დღეს დაიწერა ჯვარი მეორე სოფელში მოშორებით გლხისავე ახალგაზდა ქალზედ. ზღვებში რადგან ჩვეულება არის, რომ ახალად ჯვარდაწერილები რაც უნდა შორს, ანუ ახლოს იყვნენ, მიუცილებლად წაიღენ იმავე დღეს თავგვირგვინიანები მაყრულის სიმღერით ნეფის სახლში, სადაც მივილიან იმათ ნათესაობა და მიწვეულნი; ამისთვის სადილს შემდგომ ღვინით დალექებულებმა მაყრებმა დაიჭინეს წასვლა იმ საშინელ ზამთრის დღეში, როდეს ყინვის ჭირბლიანი ბურუსი დაბნელებდა მზის შუქს და თოვლდა მკირედ. დედოფლის დედამა და ნათესაობა თუმცა ბევრს უშლიდნენ წასვლას და ეტყოდნენ სიძეს. მტრისას ხომ არა ხართ ახლა მოყვრები ვართ, მოიცადეთ გამოიდაროს, მაგრამ მაყრებმა არ დაიშალეს წასვლა — ჩვეულება რჯულთ უმტიკესიაო, იმათ გადასდევს ხელი ერთმანეთს მხრებზე და შემოსაძახეს საამურის ხმით სიმღერა: „წასვლა სჯობს წარმავალისა, არ დახანება ხანისა“. ნეფე დედოფალი და მაყრები გამოეთხოვნენ ჩვეულებრივის ალერსით დედოფლის სახლობას, შესდნენ ცხენებზედ ნაბად წამოსხმულები, შესვეს პატარა პატარა ცხენზე, წამოასხეს ნაბადი ყებე აკრულს, ხელცახოცით პირბადე ჩამოფარებულს თავგვირგვინიანს და განაგრძელეს მგზავრობა თვისი მაყრულის სიმღერით.  
მოვიდვართ, მოგვიხარია, მოგვიყავს დედალი ხოხობი.  
თან სარო, პირად მზე ვარდი, ჯერ გაუშლელი კოკობი.  
მსრედ მიმავალნი ექვსნი ცხენოსანნი, მიახლოდნენ რა მდინარე ლიახეს საღამოს ბი-

ნდზე, უცრად დაბერა საზარელმა ქარიშხალმა ბუქმა და შეიქმნა სწრაფად თოვლისაგან საშინელი კორიანტელი. ამ დროს ისინი გამოტრიალდნენ დაფანტით, დაშორდნენ ერთმანეთს, დედოფლის ცხენმა წართთო თავი პატარძალს და მიფარათ თეაღწინ, სხვანი შეიკრიბნენ ისევ მალე დაკარგეს პატარძალი, იმათ ბნელსა და კორიანტელში ვეღარა გაიგესრა, დაიწყეს სიარული ტირილით და ვეგბით ძლიერს მიადწინეს შუალამისას სახლში. აქ მომზადებულნი მექორწილენი თუცა გამოეგებნენ მხიარულად და უკვირდით ჩუმით ნეფის მისვლა, რატომ თოვების სროლით სოფელში არ შემოვიდნენო, მაგრამ ვაი იმ მიხელას, როდესაც სცნეს პატარძლის დაკარგვა, შექმნათ უცებ გაოცება, თავში ცემა, გლოვა და ტირილი, ზოგი ლოყებ დასისხლებული თმა გაშლით მოსთქვამდა გამწარებული პატარძლის საცოდობას და იტყოდა, „ვინ იცის, სად გათრევეს ცხენი, ვინ იცის, სად გადაგჩეხა ცხენმა და სად შეგკამს მგელი“. ზოგნი განციფრებულნი დრტინენდნენ, მწუხარებით წარმოიდგენდნენ მრავალ გვარად პატარძლის მდგომარეობას და ჩამოსდიოდით მღულარე ცრემლები; მოულოდებელი შემთხვევა ესე ღვინის ნაცვლად დაწყულულებდა ყველას და გულ-მტკიენულად გამოათქმევინებდა მაყრების სიმთერალეს და უგუნურებდას. ბუღამოსკენით მოტირალნი ღრიალებდნენ მწარეთ და ნუგეში მათთვის არსად რა იყო, გარეთ აღარ გაისვლებოდა, ზოგჯერ მწუხარების შესასმუბუქებლად, თუმცა იტყოდნენ, იქნება საწყალი ქალი ცხენმა ისევ თავის დედამასთან მიპარუნაო, მაგრამ არა.  
სხენს წყალი სწყურებოდა, ქერით გულგახურებულს დაენახა რა მდინარე ლიახე, გაეტაცნა პატარძალი და დასწავებოდა წყალს. სხენმა მოიკლა წყურვილი, გაანტერია ყინულები, გაჭყუბა წყალი, გავიდა ლიახეს და იწყო სირბილი უგზო-უკვლოთ ბნელში თავ-

ის პატარა ტვირით, გზა დაკარგული ცხენი მივიდა სრულებით სახლის კარ წინ ჭიხენით.  
ამ დროს ჩაუჭრებულმა ცეცხლთან მგდომარე ღვდელმა ვაიგონა რა ცხენის ხმა, აიხედა მალა ბანში, განციფრებით დაიწერა პირჯვარი და სთქვა: „დიდხარ შენ უფლო! ნეტა ეს გამოუხეტებია თავი სასიკვდილეთ, რომ ასეთ ღვთისრისხვა საშინელებაში მომადგა კარს შუალამისას, ან ვისი უნდა იყოს ეს ცხენი? წამოდა სწრაფად, გადო კარები და გამოვიდა დეფენში; აქ ცეცხლის სინათლეზედ დაინახა მოჩვენების მსგავსად შავი ცხენი ოფლში გაჭურული, ფაფარ დაწნული და ზედ მგდომი ქალი პირბადით თავ გვირგვინიანი ნაბად წამოსხმული. შიშისაგან გაოცებულმა, შემკრთლმა უკუდგა ფეხი, დაიწერა პირჯვარი და მოკვდა ლოცვას მიწყალე მე ღმერთო. . . . . მინა ხარ?  
— პატარძალი ვალ, — ამოიქანელა ძლიერს კმაწვილურის ხმით ცხენზედ გაყინულმა.  
ღვდელი ამ თქმანედ ათრთოლდა და სრულიად დარწმუნებული, რომ სწორეთ ავი მანვე მოჩვენა პატარძლის სახეთ, გააბა მღვდელმა მრწამსი, მამოჩვენო და სხვანი ლოცვანი, დასასრულ შეიკავა თავი, შეაფურთხა და სთქვა: „ფუ ეშმაკო, ვიჯმნი ეშმაკისაგან, განვაგდებ სატანასა, რა ხარ, რა სულიერი ხარ?  
— პატარძალი ვალ, — განუხმეორა ცხენოსანმა.  
მაშინ შიშით ღონე მოკლებულმა მიჰყუდა ზურგი დერეფნის ბოძს, დალულა თვლები და დაიწყო ჩამოთელა ბუბუტი: დაგწყველოს სამას სამოცდა სამა წმინდა ბიორგიმ, ბერისამა, ბორისამა, სარკისამა, ატოცისამა, ატენისამა, ბარდატენისამა . . . . .  
ამ ბოღვასა და შფოთვაში გამოვიდა ღვდლის ცოლი მობუზული სამთლით ხელმოფარებული და დაიძახა, ვინა ხარ შეილო?  
— პატარძალი ვალ, ცხენი გამიჭნდა.

ღვდელმა დაინახა რა თავისი ცოლი, გაიმგრა გული და ორთავ ცოლქმართა გადმოხვეს ცხენიდან პატარძალი, შეიყვანეს სახლში. ღვდელმა ცხენი ბოსელში დააბა და არ შეიშინა შიში, შევიდა სახლში. პატარძალი გაათბეს ცეცხლზედ და გამოჰყოფეს ყოველივე დაწერილებით, როგორც გაუტუნდა ცხენი, ვისი შეილია და სად გაათხოვეს. შემდგომ, დამშვიდებულმა მღვდელმა განიპურო ხელი და სთქვა გულის მხურვალით: „მადლობ შენ ყოველად მოწყალეო ღმერთო, რომელმან არა დამიტევე მე უღირსი მონა შენი, ჟამსა სიბერისა ჩემისასა და სული ჩემი არა წარსწყმიდე შიშისაგან საეშმაკოდ, აი საყვარელო, — ეტყოდა ცოლს — ჩვენ შეილი არა გვეყვანდა და ღმერთმა მოგვეცა ეს მზა გაზღილი შეილი“.  
მეორეს დღეს შეატყობინა ეს შემთხვევა სოფლის მამასახლისს, შეაბმევინა სოფლის ხალხს მარხილი ჩარდახიანი, ფარდა გადაფარებული, ჩასო შიგ თავისი ცოლი, ჩაუსო პატარძალი, გაიყოლა ოთხი სოფლის კაცი, დედოფლის მაყრებად, თითონ შეგდა პატარძლის ცხენზე დაკარწყებულნი, შემოისო ცხენზედ უკან დიაკვანი და გაუძღვა წინ მარხილს ლაპარაკით. „აი შეილო, — ეტყოდა დიაკვანს. — შკვიანი კაცისგან არის ნათქვამი ცარიელი მუცელი კაცს ჭირშიაც არ დაეჭირება, არამც თუ ღვინშიაო, ჩვენ ხომ ქორწილში მივიდვართ, ეს ყველიერი სულ ღვინით და შეტყუებით გავატაროთ პური და ღვინო მუქით გვექნება, ხარი სხვისაო სახრე ტყისაო, დაქარბიქო. ნეფის ოჯახში მე ვყოფილვარ, კი შეძლებულნი გლგენი არიან, მამა შეილოდამ დახვედრაც კარგი იცინა.“  
როგორც მიახლოდნენ სოფელს, ღვდელმა უბრძანა ახალ დედოფლის მაყრებს მივედით, ახლაკი დაცალეთ თოვები და შემოედანოთ მაყრულიო, გავარდა თოვები და გავარდა თოვები და გავარდა ხმა მალა მაყრულის სიმღერა.

ვარს) გაიშართა კონფერენცია, სადაც შეკრებილნი არიან იმ სახელმწიფოების დესპანები, რომელნიც ერინენ 1856 წელს პარიზის ტრაქტატების (მორიგების წერილი) შედგენაში. იქვე არიან ჰელსინკის (საბერძნეთის) საკაროლოს წარმომადგენელი. ამ კონფერენციამ უნდა განიხილოს მსმალეთის იმპერიის მოთხოვნები, რომელნიცა წარუგზავნა მან ელინის კაროლს ნოტაში 29 ნოემბრიდან (11 დეკემბრიდან). ამ ნოტას ეწოდება ულტიმატუმი (მოუცილებელი საპასუხო წერილი).

მსმალეთის მთავრობამ ამ შემთხვევაში აცნობა, რომ დიპლომატიური დამოკიდებულება მსმალეთს და საბერძნეთს შუა მხლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როცა ათინის კაბინეტი (სამინისტრო) ამავე წამს დაითხოვს ევლონტრეტებს, რომელნიცა საბერძნეთის სხვა და სხვა ალაგებზე არიან შეკრებილნი, აგრეთვე თუ დაითხოვს იმათაც, რომელნიც შემდეგ უნდა მოგროვდნენ: თუ იარაღს ჩამართმევს ხომალდებსა მ ნ ო ზ ო ს ს, კ რ ი ტ ს და პ ა ნ ე ლ ი ო ნ ს ან აუკრძალავს ელინის პორტებში შესვლას; ნებას მისცემს და ხელს შეუწყობს პრეტის მცხოვრებთა, რომ თავიანთ ქვეყანაში მშვიდობით დაბრუნდნენ; დასჯის იმ დამნაშავეთა, რომელნიც უსამართლოდ მოჰქცევიან მსმალეთის ქვეშევრდომთა და გადაუხდის იმათ, რაც ზარალი მისცემიათ, და ბოლოს თუ პირობას დასდებს, რომ შემდეგაც ურთიერთ ხალხობრივის სიმართლისამებრ და შედგენილ ტრაქტატებისა მებრ იმოქმედებდნენ. საბერძნეთის მთავრობამ 3 (15) დეკემბრიდან გაგზავნილს ნოტაში ახსნა, რომ ზოგიერთს ზემოხსენებულს პირობებზე არაოდეს ცილობა არა მქონიათ; სხვანი კი ნათლად და ნამდვილად არ არიან ნაჩვენებნი და ამის გამო იმათ

მოვლივართ, მოგვიხარიათ, მოგვეყვას დედალი ხობობი, ტან სარო, პირად მზე ვარდი, ჯერ გაუშლილი კოკობი. ამ ხმაზედ საოფლოს ხალხნი და მგლოვიარები გამოაცივდნენ გაოცებულნი და ეინვის მისაწრებდა უწინ, ყველა იმასა ცდილობდა; ისინი მალე შემოეხვიდნენ მარხილს გარს გახარებულნი, ზოგი მღვდელს ჰკოცნის ხელზედ, ზოგი პატარძალს და მღვდლის ცოლს, ესრეთის მხიარულებით შევიდნენ დარბაზში, მოუხვეს თავგვირგვინიან ნეფეს დედოფალი გვირგვინიანი მალლა ტახტზე, დაანთეს შუა დიდი ცეცხლი, მოუხჯდა მღვდელი ცეცხლს პირს კერას, სხვანიც დალაგდნენ თავთავის ალაგას ორ პირად ქალი და კაცი, გაშალეს გრძელი სუფრები, მოიტანეს იმ ღამის ეახში მი სადღათ და აავსეს ხორაგით სუფრა, რომელსაც მიუმატებდნენ საყველიეროს ქდანაზუქს, ღამხალს და ღვინით-სავსე საღვინებს, მწვადები ცეცხლზედ შიშინებდნენ ტრიალით და საქმლის ორთქლი ადიოდა ბანში.

სახლის უფროსმა მართო მღვდელს ტახტით მოხარული ძროხის ბეჭი, დედალი ქათამი, საესე საღვინე, ჩაიჩოქა ცალ მუხლზედ, დაუდგა წინ, ემთხებია ხელზე და მოახსენა: „მღვდლო! გვიკურთხე სუფრა, დღეს ყველიერის ორშაფათია, ნამცეცობა არის. შეწერს განა, რომ დღეს ხორცით ჩვენც პირი გაეცმატუნათ? მღვდელმა ღმირით დაიქნია თავი თანხმობისა, აკურთხა სუფრა, გადასწერა ჯვარი ორსავე მხარეს, დაიხედა წინ, დაიხანცოვდა ბეჭი, ქათამი ჩაკვერცხილი, საესე საღვინე და მერიქიფე ღვინის დახსმელი ყანწით, მაშინვე მოითხო ხელები ცეცხლზედ, მოიშო სარტყელი წელზე, დაჰკრა ტაშტაში და მაყრების ბანის მიძახით დაიწყო სიმღერა.

ახლა-დაეჯექ ცეცხლსა პირსა, შილა დამამდა გული, ნეფესა და დედოფალსა მოუგროვებთ ჯიბის ფული.

ზოგონა და გოგონაო.

ვერ მივიღებთო. ამ სიტყვა-პასუხის შემდეგ ათინიდან და ქოსტანტინოპოლიდან გამოვიდნენ მსმალეთისა და საბერძნეთის წარმომადგენელი. ბოლოს ამისგანა გაიშართა პარიზის კონფერენციაც. იმის მოქმედება და შედეგი თავის დროს გამოცხადდება.

**იტალია.**

ზარიბალდი კიდევ ამოიჩინეს მწიგნორის წარმომადგენლად, მაგრამ უარს ამბობს ამ თანამდებობაზე, რადგანაც ვერ შეუძლიან გამოვიდეს კუნძული პარკრიდან შეუძლებლობის გამო.

მაძინი აქამდინაც ლუგანოში წევს ავთი-მყოფი, თუმცა იმისი ამხანაგები გეარწმუნებენ, რომ დიდი ხანია, რაც მოიჩინა. მაგრამ მაძინი ისე ძალიან არის ავთა, რომ ოთახიდან გამოსვლა არ შეუძლიან; შეწუხებული მაძინი ძალიან ჯავრობს თავის მომხრეთა მოქმედებაზედ იტალიაში. ქქიმები ურჩევენ გადავიდეს საცხოვრებლად იმ გეარადგილს, სადაც ჰაერი უფრო თბილია; ისინი გზავნიან მენუაში, ე. ი. თავის სამშობლო ადგილს. მაგრამ ისე ავთ იყო, რომ არ შეეძლო გადასვლა ლუგანოდან მენუაში; იქნება ისიც იყო მიზეზი, რომ არ უნდოდა ეთხოვნა იტალიის მმართველობისათვის მენუაში ცხოვრებაზე ნების დართვა.

**ისპანია.**

საერთო ამორჩევა ისპანიაში. მადრიდის კორტესბონდენტი იწერება: „საერთო ამორჩევას გაუდგამს ისპანიაში ღრმა შეხვეტი და მოაქვს კიდევ საკმაო სარგებლობა. ახალმა დემოკრატამ, რომელიც დაიბადა გუშინ და წინეთ სულ უძრავად იყო, ახლა იმ გეარი მხნეობა გამოიჩინა, რომ კაცი გაჰკვირდება. ანგლიაში და პერიკაშიაც ვერაჰკვირებთ ასე ღირსეულად აღმორჩევას. სჩანს, რომ აღმორჩევა ყოფილა საყოველთაო საკუთრება. ქატალონიისა, არაგონისა, ბალი-

პატარძალი პატარაო, წყალს მოიტანს სხვას არაო. რას უყურებთ მხიარულსა, ითამაშე ბიჭუნაო. ვერე შენი ქირიმეო. მს ბიჭი კარგათ თამაშობს, კარგათ გაიშლის ხელებსა; ამან რომ ფეხი წამოჰკრას, ფათერაკს დაუბრალებსა, ბიჭუნა და ბიჭუნაო. მს ბიჭი კარგათ თამაშობს, თითის წვერებზედ დგებო. ნეფეს ძილი მოვრია შეხედეთ როგორ ხდებო. ხა! ხა! ხა!... ნანა უნდა გოგონაო.

შეკრენ ტაშს, უელიან რიგით ლეკურს, ბუქნას, აქეთ მხიარულება დიდი და შექცევა სიცილ-ხარხარით. მაშა ლხინსა ვინ მოიქვს პირველ ქირთა უმეშაკო.

იმ ღამის უძილოდ ნეფეს სთვლემს და იქნეს თავს. ნეფე დედოფალს უდგო წინ ვერცხლის თასი, ვინც მივა და მიულოცავს „ღმერთმა ერთმანეთს შეგაბეროსთ, ერთ ბარკალზედ დაგაბეროსთ“; ის ფულს თასზე დააწკრილებს, წინ ორი ბიჭია დაჩოქილი, ერთი ნეფის მხრით, მეორე დედოფლის მხრით, მესამე ბიჭი ნეფე დედოფლის ქვეშაგებზე წევს პირქვე ხელებ გაშლილი, ვითომ სძინავს, სინამ ხელში ფულს არ ჩაუდებენ ნეფე დედოფლის საწოლს არაფის დაანებებს.

მს მიამბო თვით იმ მოხუცებულმა მღვდელმა, რომელიც მეტყუადა სხვათა შორის: „თქვენმა მზემ, სული არ წამიწყმდება უკეთ დაიჯერებთ, იმ საშინელს ლეთის რისხვა ბნელად ღამეში, ცეცხლის სინათლეზე, რომ შევხედე, ცეცხლის შუქი თითქოს გოგირდის ფერად მისდგომოდა ცეცხლსა და პატარძალს, სახე ჰქონდა შეხვეული როგორცა პირბადით

ციისა, ძველი—ქატალონიისა მალენციისა, მერსიისა და ანდალუზიის ქალაქებში გამარჯვებით დარჩნენ სამოქალაქო აღმორჩევაში რესპუბლიკელები.

მენერალი პრემის მდგომარება დროებითი მმართველობის შუა ხდება ორკოფი; იმისი უკმაყოფილება იზდება დღე-და-ღღე; ყველანი ისე ფიქრობენ, რომ იმას უნდა დემოკრატების პარტიასთან დაახლოვებო. მაგრამ უნდა ესთქეთ, რომ გვიან მოუფიქრებია ესა.

უკანასკნელს მადრიდის გაზეთებში ამბობენ, რომ მინისტრებს უარი უთქვამთ მსპარტეროს სატახტოთ ამორჩევაზედა და ცდილობენ ყოველის ღინის ძიებით ამოიჩინონ გერცოგი მონპანსიე. ამბობენ, ზოგიერთს გენერლებს, რომელნიც ამ საქმისაგან სარგებლობას მოელოან, სწადთ გერცოგი დასონ კაროლათაო, და ამისთვის არაფერს დაზოგვენო. პრთი პარიზის გაზეთი ამბობს და მართლათაც, რომ ყოველი გეარი ძალდატანება ახლა ისპანიას დაღუპავსო. შოველი გეარი მმართველობის სახე, მონარხიულია თუ რესპუბლიკური, თუ ხალხის ნებით არ არის დაწესებული, არის უსაფუძვლო. მითონ მონპანსიეც არ აიღებს იმ გეარს უფლებასა, რომელიც არის ძალით წართმეული ხალხისაგან.

**ანგლია.**

ადგილ-მამულის საკუთრების საქმე დიდ ბრიტანიაში და ირლანდიაში. ზაზეთში Ind. Belge-ში იანერის ნ-ს დაბეჭდლია: „ანგლიის საზოგადოება ძალიან აგვუღათ არის არისტოკრატიაზე. არისტოკრატია, საუფროსოობით \*)

\*) საუფროსოობა ისეთი უფლებაა ანგლიაში, რომ ადგილისა და მამულის პატრონს არ შეუძლია თავისი ადგილ-მამული ყველა შეიღებს გაუყოს. მთელი მამული რჩება უფროს ვაჟსა და ისე საშვილიშვილოთ უფროს შვილებზე გადადის.

თოვლისათვის, სწორედ ვერცკი გაეარჩე რაღასაც შესაშინებელს ჰგვანდა; უპყერიალვბდა მორთულობა და ნაბადზე გადმოყრილი გვირგვინის ტოტები ფოიო, მძივები მაშინვე წარმომიდგა ჩემს საუბედურთ მამათ ცხოვრება უდაბნოებში; როგორ ეჩვენებოდნენ იმათ წყეული ავი სულები, შემიაყრო შიშმა დაიწყე თრთოლა და კანკალი, რამდენჯერაც ხნას გამომცემდა პატარძალი ვარო, იმდენი ღონე მეკვეთებოდა მუხლბეში კინაღამ დამბლად დავეცი, ძლივს დავიწერდა პირჯვარს და რაც ლოცვანი ვიცოდი, სულ ზედ მივაყარე“.

„აბა, რა უბედურება არის ამგვარი ჩვეულება! დასწერენ ჯვარს პატარა ქალს და მიუღებენ დამთვრალ მაყრებს უცხო კაცებს ქრმის ანბარა, დაღველებიან სუფრაზედ ღვინით და დაინიჭებენ იმ დღესვე შინ წასვლას: ხარჯი არ წაგვიხდესო, ისინი თავიანთ მუცლისათვის ზრუნვენ და არა პატარძლისათვის. მზაზე ვინ იცის რა შემთხვას მთვრალვებს; გლეხი კაცი რაკი დაღვეს და დაითრობა, კარგი და ავი დარი იმისთვის სულ ერთია, მაშინ ზღვაკი მუხლამდინ ჰგონია იმას, თუ შესაწევარიც მიუტანა, ქირსა და ლხინში, განეთქეს ირჩევს, გაძღმას არა. —მამაშვილობამ ჩვენც ნაკლებნი არა ვართ, (წამომიხურჩულა ყურში) ქირსა და ლხინში მაგრამ ყველა ხომ არ ითქმის, ნათქვამია: „ზოგჯერ თქმა სჯობს არა თქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდებიო“. ზღვები კაცის შესაწევარი ეს არის, თუ გაკეთებული ოჯახია, ნეფე მაყრებით წაველენ ცხენებით, ურმით წაიღებენ ერთ ტომარა ფქვილს ორ ტიკ ღვინოს და ერთ კი ქედილა ცხვარს, დააგდებენ ფეხებ შეკრულს ურემზე ბლავილით, ნეფე წაიღებს ხუთ ექვს თუმანს ფულს საქარწილოს, დაიწერს ჯვარს და წამოვლენ ცხენებით მაყრულის სიმღერით, დედოფლის მხითვეს ერთ წითელ სკიერს (ზანღუქს) და

ძლიერდება, რამდენათაც თან და თან ცუტვადება, მთელი ადგილი და მამული ძალიან ცოტას ხელში გროვდება, ბრაიტმა თავის სიტყვებში და პალატის შეცვლის მსურველ პუბლიცისტებმა დიდი სიმძულვარე აღმოაჩინეს, რომ ადგილ-მამული სწორეთა და თანასწორეთ არ იყოფება. ამ საქმის გათავებას დიდბრიტანიაში და ირლანდიაში უფრო დიდი ხანი მოუწდება, ვიდრე რაც შრანციას მოუწდა, სადაც ეს საქმე ჩქარა გადაედა 1789 რევოლუციისა გამო. ანგლიელები ამბობენ, რომ ვითამც პრაქტიკული ღონის ძიება არ არის ამ ბოროტების მოსასპობლათაო. უკანასკნელ პარლამენტის ამორჩევის დროს ეს ბოროტება ძალიან აღმოაჩინდა: დიდ ძალას და მცბიერებას ხმარობდნენ მამულის მებატრონენი. ახალ პარლამენტში უფ. ლოკეგინგი აპირობს წინადადების წარდგენას, რომ მამულის მებატრონის სიკვდილის შემდეგ თუ ანდროძი არა დარჩა რა, ადგილი და მამული საუფროსოთ კი არ გავიდეს, არამედ გაიყოს თანასწორეთ ყველა მემკვიდრეთა შორის, როგორც მოძრავი ქონება. ამ საგანს თვით პირველი გაზეთი „ტაიმსი“ შეეხო ყრუთ და სჩანს, რომ ამაში საფიქრებელი საქმეა. პრთის სიტყვით ანგლიაში ეს ჰაზრი გავრცელებულია. პარლამენტის ამორჩევაში რაკი ცვლილება მოხდა, ზემოხსენებული საქმე ადგილ-მამულის საკუთრების საქმეც წინ წამოვიდა და განსჯასაც უნდა მიეცეს უეჭველათ.

**ოსმალეთი.**

ქოსტანტინეპოლიდან გეაცნობებენ, რომ მპირში და მესალიაში დიდი აღრეულობა არის იქაურს ბერძნებს შუაო. მესალიის ბერძნები ცხადად აღიარებენ, რომ სიცოცხლესა და ყოველს ჩვენს ქონებას არ დაეზოგავთ საბერძნეთის კაროლის შიორგი პირველისათვისაო. ამ აზრით ძეუდგენიან ადრესი კროლოთან და ბერძნების პატრიოტები აპიროერთ ხელ ქვეშაგებს ურმით წამოიღებენ.“

„თუ დარბი ცაკია, ორ სამ თუმანს იგალებს როგორმე უღელ ხარსა და ურემს მეზობლისაგან ითხოვს, სამ კაცს მეზობელს, ან ნათესავს ვისმე წაიყვანს თანა, მივა დაიწერს ჯვარსა და წამოვლენ ურმით, ნეფეს ნათხოვარი ნაბადი ასხია თავ გვირგვინიანს და დედოფალი პატარძალი საბანში განხეული ზის ურემზე გვირგვინით, ისე მივლენ შინ და სცხოვრებენ ღარიბულად“.

„ღარიბი კაცი ზაფხულში ტყესა და მინდორს ებრძვის, ზამთარში ცუდათ არის, რა გააკეთოს, რაც არა იცისრა.

„ზოგი კაცი ყოველ საქმეში ქირვეულია, შეაგდებს ქვას, შეუშვერს თავს, რაც უნდა კეთილი ურჩიო, არ დაგიჯერებს. თუ თავისი გაიყვანა მან, ის ყელ მოღვრებულია მამალივით, თუ ვერა გახდარა, მოგიკვდება ხელში, მოიკატუნებს თავს და გეტყვის: „რა ექნა, შენი ქირიმე, გლეხებს იმისთვის გეცხიან, ბრიყვები ვართ, არა ვიცითრა და არცა ვის გაუგონებთ“. აი ამათი—ჩვეულება და ხასიათი ეს გახლავს სულ უმეცრებით მოსდისთ თქვენმა მზემ.“

ამ ანბებისათვის, მე მოვანხენე მადლობა პატარძლისაგან შეშინებულს, სულისა და ლხინის მამას და გამოვეთხოვე მძიმეთ თავის დაკერით.

ღმინტრი მელვინეთხუცესოვი. 8 იანვარს 1869 წელსა. ქ. ბარაი.

ბენ გაზანონ ამითი საკუთარი დეპუტაცია ბიორგი I-თან.

დიდი მოძრაობა მოახდინა მასტანტინე-პოლში მაჰმადიანების ჩუმმა მოხმობამა. მოხმობაში მაჰმადის მიმკვიდრებ, აბდულ-პის ხანმა მოაგონა ყოველი გვარი შეწყობა ბერძნებისაგან, რომელიც მისდგომია მალას მსმალეთსა და იწვევს ალლაჰის თაყვანის-მცემლებს, რომ ისინი შეერთდნენ მაჰმადის ბაირას ქვეშ და დასაჯონ საბერძნეთის გაიურები. შეიხ-ულ-ისლამმა შესთხოვა ეს მოხმობა სულთანის სახელითა, რომელმაც არც კი იცოდა და არც ნება მიეცა ამაზედ და უბძანა, რომ გააგრძელონ ხალხში. ამისი ცდა ის იყო, რომ ხალხზედ იმოქმედოს და მმართველობას მიეწველოს. შამსით მმართველობა ვერაფერს გააწყობდა თავის მდებარე ხალხთან, როდესაც ის შეუდგებოდა გიაურების ქლევას სატანტო ქალაქში.

**კოსტანტინეპოლი**, იანვრის 5-დგან. (ძორარეს. მ. დესის უწყებისა). ბავსის კორარესპოდენცია უთუოთ მსმალეთის თხოვნით აგრცვლებს ამბავსა, რომ ვითომც ძანდია სრულეობით დაამწყიდეს; მაგრამ ამ ცნობებს არა აქვს საფუძველი, რადგანც დეკემბრის 27-დგან ცნობანი რეტიმონდგან ამტყუნებენ მსმალეთის მოგონილს ამბავს. მთელი კვირის განმავლობაში ამობდნენ ინსურგენტები და ოსმალეები ამარიონთანაო, იწერებთან რეტიმონდგან. როდესაც გათავდა ეს საქმე, ინსურგენტები გადავიდნენ წმ. ბასილთან და აქ მოვიდნენ „მონისს“ მოსაშველებელი იარაღებითა და სახრლოთი, ამით გაზანეს 300 კაცი ძისუს ორს სოფელში, რომ ამით მოემზადებინათ ხორაგი მეორე ექსპედიციისათვის. მსენი გაიმართნენ ამ ორს სოფელში და გზებზე მჭკრეს; მაგრამ საუბედუროდ ჯანდის გამო შემოერტყნენ გარს მსმალეები. ინსურგენტებმა რომ ნახეს, რომ აღარა შეუძლიანთ რა, დასდევს თოფ-იარაღი. მაგრამ მსმალეები მაინც უთოფ-იარაღებს მისციენდნენ და ორასამდე დახოცეს; დანარჩენთ მოასწრეს ხმლის ხელში აღება და შეებნენ საშინელს ჩეხვაში. ზოგმა გაატანა მსმალეების ჯარსა და წაიდა; მხოლოდ ექვსი კაცი მიძიეთ დაჭრილნი მოიყვანეს მსმალეებმა რეტიმონში. შემდეგ უმთავრესი ღონე ინსურგენტებისა მიძიართა ძანეს პროვინციისაკენ და აქ, მირტიონთან მოუვიდათ ომი მსმალეებთან, და ესენი გამოიყარეს. ამავე დროს ინსურგენტებმა დაამარცხეს მსმალეები ძალიონთან, რეტიმონს პროვინციაში და მისცეს იმათ დიდი ზიანი. მეორეს დღეს ოსმალეები გამოვიდნენ ამარიონიდან და წმ. ბასილიდან ინსურგენტების სადევნელათ და შეებნენ მპიგონიასთან. მში იყო ორი დღის განმავლობაში; მსმალეები ორჯერ ეცადნენ ძალიკრატის გასაღის დაჭერასა და ორჯერვე გამოყარეს დიდის ზიანითა. ბოლოს წაიდა რეტიმონდგან გარნიზონი მსმალეების მისაშველებლად. თავირ-ფაშის წინამძღოლობით. მას აქეთ ამბავი არა მოსულარა. ინსურგენტების რიცხვი, ეოლონტურებისა და ძანდიელებისა არის 3000—მდე.

**ტ. მ. ე. გ. ა. მ. მ. ბ. ი.**

(პეტერბურღში მიღებული)

იანვრის 2-ს. ბაზეთი „Public“ აცხადებს: „საბერძნეთმა ისეთი მდგომარეობა მიიღო, რომ საქმეებში, რომ კონფერენციის დაშლის შემდეგ უთუოთ მოხდება ომიო.“

**ლონდონი**, იანვრის 2-ს. ბაზეთი Times შიშობს, რომ კონფერენციის შრომა ამოდ ჩაივლისო.

**პარიში**, იანვრის 3-სა. დღეს იყო მეოთხე სხდომა კონფერენციისა.

— Constitutionnelle-ი გეაცნობებს, რომ

უფ. რანგაბე, საბერძნეთის ელჩი, არ იმყოფებოდა გუშინდელს რჩევაშიო, რომელშიაც სამი საათი ლაპარაკობდნენ.

— მსევე ბაზეთი აღიარებს იმედსა, რომ მაინც კონფერენცია კეთილად გაათავებს საქმეებსაო.

**პარიში**, 30 დეკემბერს (11 იანვარს). საბერძნეთის წარმომადგენელმა მოითხოვა, რომ იმასაც ისრეთივე სიმართლე ჰქონდეს კონფერენციაში ყოფნისა, როგორც მსმალეთის წარმომადგენელსა. რაც ალაგი საბერძნეთს ხედა კონფერენციაში, იმის წინააღმდეგი არ გამხდარა, მაგრამ ითხოვა კი, რომ მსმალეთსაც საბერძნეთის თანასწორი აღადგინო და ექირა იქ და ამასთანავე ტელეგრაფში გაგზავნა ათინას, რომელშიაც ჰკითხავს თავის მთავრობას დეკლარაცია თუ არაო კონფერენციაში, როგორც წევრი მხოლოდ მოლაპარაკების დროს თანა დასწრეო.

— 31 დეკემბერს (12 იანვარს). ბავსის სააგენტო გეაცნობებს, რომ დღეს მეორე სხდომა იქნებოა კონფერენციისა და საბერძნეთმა რომ კიდევაც არ გადასთქვას თავის მოთხოვნა, სახელმწიფოები მოლაპარაკებას მაინც არ შესწყვეტენო.

(ტფილისში მიღებული.)

**პეტერბურღი**, იანვრის 15-ს. მმართველობის კონტრალიორის ანგარიშით ასადები ფული, რომელიც დარჩომილა წინა წელიწადებში 1869-მდე, შეადგენს 1218 მილიონსაო; აქედან უპირველესი რკინის გზების საზოგადოების ვალი არის—73 მილიონი, სხვა ყველა რკინის გზებისა 5 მილიონი.

იანვრის 16-ს. მადრიდიდან იწერებინ დეკემბრის 27-დგან, რომ პაპამ არ მიიღო ახალი ისპანიის ელჩი და ამიტომ ხალხი მისციედა პაპის ნუნციის სახლსა, მოგლიჯა და დასწვა პაპის გერბი და თხოულობდა ნუნციის დაუყოვნებლივ გადგებასა. მმართველობამ გამოაცხადა, რომ ნუნციის სრული ნების ქონა გაჰქმებული არისო.

**ათინა**. მლიან მინისტრი ბულგარისის სამსახურიდან გამოსვლას.

**ათინა**, 18-ს იანვარს. მინისტრმა ბულგარისმა შეიტანა თხოვნა ადგილას დატოვებაზე, იმიტომ რომ მმართველობას არა ჰქონდეს დაშლა ახალი პოლიტიკის მიღებაზედ.

მალენსკი მოვიდა ათინაში იანვრის 16-სა და მოიტანა პროტოკოლი კონფერენციისა; ამასთან კაროლს ბიორგის მოუტანა ნაპოლიონის ხელით ნაწერი წიგნი.

ი ა ნ ვ რ ის 20-ს ა.

**ათინა**. საბერძნეთის სამინისტრო რ რ პარტიათ გაიყო; ერთი ითხოვს კონფერენციის გარდაწყვეტილების მიღებასა, მეორე პარტიაკი უარსა ჰყოფს.

ამერიკის ელჩს ძონსტანტინოპოლში მიენდო ექვილობა, რომ განხეთქილების დროს საბერძნეთსა და მსმალეთს შუა მათის ურთიერთობითის განცხადებისათვის შუამავლობა იქონიოს.

**საქართველო.**

**II.**

ჩვენ აქ საქართველო ერაცხთ მცირე-აზიას თვალი გადავავლოთ. მცირე-აზია, რომელსაც ახლა უწოდებენ ანატოლიას, Levant, არის ნახევარი-კუნძული და მდებარებს თითქმის ჩვენ საზღვრათ. სამის მხრით ის შემოზღულდულია: საშუალო-ქვეყნის ზღვით, არხიპელაგით, მარმარილოს ზღვით და შავის ზღვით. დანაშთენის მხრით იმას უძევს ხმელეთი: ნაწილი სომხეთისა მერატის სათავეებში, და შორახის სათავე. ჩვენის ქვეყნის მხრით ჰეროდოტი მცირე-აზიის საზღვრათ აჩვენებს შაზის მდინარეს, ანუ რიონს 1), ასე რომ

1) Vivien de S-Martin, Asie Mineure, II, p. 290.

თითქმის ნახევარი ქართველი ტომი; ესე იგი ძანეთი, მესხეთი და ნაწილი იმერეთისა ჰეროდოტს მცირე-აზიაში შემოაქვს.—მარტო ეს არ არის მიზეზი, რომ ჩვენ „საქართველოს“ მცირე-აზიით ვიწყებთ. ჩვენ ენახეთ, რომ საქართველოს სეე, როგორათაც ძველათ, აგრეთვე შემდეგ, მცირე-აზიაზე ყოფილა და მოკიდებული. ბუნება მცირე-აზიისა და ძაკასიისა თითქმის ერთი და იგივეა. მთარის მთა და ძაკასის მთა არიან შეერთებულინი. მცირე-აზიაზე ჰქონია მსვლელობა ზოგიერთს ნაწილს ძველის ტომებისას, არილებს, თუ სემიტებს, რომელთაც იქიქამ ჩვენი მხარე გაუფლიათ, ან ჩვენის მხრით მცირე-აზიაში მიუშართათ. ისინი ჩვენ წინაპრებს რამდენიმე ხანი დაკავშირებინან; ზოგნი სულაც აქ დასახლებულან; ჩვენ სისხლს იმათი სისხლი მოჰატებია, ჩვენს ენას იმათი სიტყვები შემოჰრეცია. ამ უცხო-ტომებს მცირე-აზიაში და ჩვენ ქვეყანაში დაუტყვევებოთ უპირველესის საბინადამ მოტანილი სახელები მთებისა, მდინარებისა, ადგილებისა და სხ.—მცირე-აზიას ჩვენზე ყოველთვის გავლენა ჰქონია. როდესაც ის მტერს დაუმონაგებია, მაშინ ჩვენც იმის მონებაში ჩაცვიფნულვართ. როდესაც ის კეთილ-დღეობაში ყოფილა, მაშინ ამ კეთილ-დღეობას ჩვენზედაც მოუფენია თავისი შუქი. მცირე-აზიაში ელიონებს, ანუ ბერძნებს ძველს დროს თავიანთი კოლონიები დაუწყებიათ; ეს კოლონიები ჩვენ მხარეშიაც გაუერცვლებიათ. იქ ადყვეებული თავდა პირველათ ბერძნული სწავლა და ელოგენება, რომელსაც ჩვენშიაც აღმოუჩენია თავისი ნაყოფი. მცირე-აზიის კოლონიებს შეუკრებიათ ჩვენ მხარეზე ისტორიული, თუ გეოგრაფიული, თუ ეთნოგრაფიული ცნობები, რომლებიც გავრცელებულია შემდეგ, საუკუნოებში.

ჩვენის შრომის დაწყებაში შემწეთ გეყავს ფრანკუზის მწერალი მივიან-სენ-მარტენი. მივიანი არის პარიჟის საგეოგრაფო საზოგადოების ეიცეპრეზიდენტი და ნიჭიერი და დახლოენებული მწერალი. იმისი L' Année géographique შეიცავს ახალ მეცნიერთ მოგზაურობის განხილვას და წარმოდგენს მთელის მსოფლიოს აღწერას, დალ სასარგებლოს და სასიზოვნოს საკითხავათ. ის გამოდის ყოველ-წლივ. ჩვენთვის განსაკუთრებით ძვირფასია მივიანის Histoire des Découvertes géographiques des nations européennes dans les diverses parties du Monde.—Asie Mineure, ორი ტომი და Recherches sur les populations primitives et les plus anciennes traditions du Caucase. მრთვე ეს თხზულება გეოგეიხატავს ერთათ მცირე-აზიას და ძაკასიას. აქ შეკრებილია თითქმის ყოველივე, რაც უძველესის დროების მწერლებს დაუწერიათ მცირე-აზიაზე და ჩვენ მხარეზე, რაც რომ ფილოლოგიას გამოუკვლევია სხვა და სხვა ტომების შინამომავლობაზე, იმათ ურთიერთს დამოკიდებულებაზე, ცვლილებაზე, ისტორიულ ცხოვრებაზე, რასაც ძველ გეოგრაფიებში სხვა და სხვა ადგილების აღწერას ეპოულობთ და რაც მითოლოგიური თქმულება ელიონებისა და სხვა ტომებისა აქამომდე გადარჩენილა. რა საკვირველია, დიდის ნიჭით უნდა იყოს შემკული, დიდის მეცნიერებით უნდა იყოს განვითარებული ის მწერალი, რომელიც გაჰმედავს ისტორიის დასაწყისის გამოკვლევასა და იმისის ბნელის წყველადის გარდევასა. ძნელათ მოხდება, ამ ასპარეზზე ნიჭიერებამ და ცოდნამ თავისი სისუსტე არ აღმოაჩინოს, აქა-იქ უგზო-უკვლო ადგილებში არ წაიბოძიოს. მართალია მივიანი თავის საქმეს სდოთხილით შეუდგა. რაც ამ საგანზე დაწერილია, სხვა და სხვა თხზულებაში დაფანტულია, იმას წაუკითხავს, შეუდარებია, აუწონია. ამას ცხადათ ამტიკებს თვით მივიანეს შრომის ციტატები (გამონაწერები).— პირველ სტატიაში ჩვენ კიდევ მოვიხსენეთ,

რომ უპირველესი წელთა-მწერალი არის მრსე, რომელსაც თავისს „დაბადებაზე“ უტანია უძველესი თქმულება კაცობრიობაზე. საკვირველია, როგორ მოაღწია იმან აქამომდე. ჩვენ ვიცით, რომ ბერძნებზე უწინ ეგვიპტელებს და მეტადრე ფინიკიელებს უგროვებიათ სხვა და სხვა გვარი ცნობა სხვა და სხვა ტომებზე, მაგრამ ისინი თითქმის მთლათ დაკარგულან. მხოლოთ თვითო ორ-ოროლა ფაქტი შერჩენილა ბერძნების მწერლების მოთხრობაებში. „მცირე-აზიას, გვიამბობს მივიანი, გამოგვიხატავს უძველესი ელიონების გმირული თქმულება, რომელიც იმათთვის ზეპირ-სიტყვით გადმოუციათ იმათ წინაპრებს, პელაგებს. ამ თქმულებას ჯერ ელიონების სახალხო სიმღერა მოიხსენებს, მასუკან იონისისა და საბერძნეთის პოეტები შემოჰკრებენ. იმან ჩვენამდე მოაღწია გადასხვაეებით, არეულარეით. მაგრამ რაც უნდა სუსტი იყოს ის სხივი, რომელსაც ის ისტორიის წინა დროებაზე მოჰფენს, ის მაინც საკმაოთ გვიჩვენებს განვილიის ეპოქების წყველადში შესანიშნავს ისტორიულს და გეოგრაფიულს ფაქტებს. ამ გვარია, განაგრძობს მივიანი, ზღაპრის მსგავსი ლეგენდები ბელლოროფონზე, ტეზეოსზე, ჰერკულესზე და არგონავტებზე. უძველესი იმათგანი ჩვენ მიგვიძღვის 2 1/2 საუკ. წინ ტროადის დარღვევისა. ლეგენდა არგონავტებისა და იმათის მოთავესი იაზონისა გვიამბობს იმ ამბავს, რომელიც 1 1/2 საუკუნით ტროადის დარღვევის წინათ მომხდარა. ხოლო ტროადის დარღვევას უჩვენებენ 1200 წლ. ძრისტეს შობამდე 1)“.

ამ ლეგენდებიდან სჩანს, რომ ელიონები ჯერ დაბლა ხარისხზე დგანან ყოველის ფრით, ბერით დაბლა, ვიდრე ფინიკიელები. აი რამდენიმე ამისი დასამტიკებელი საბუთი. შეეყანა, ელიონების აზრში, მრგვალი და პტყელია; ნაპირები იმას აწეული აქვს, ასე რომ ჩრდილო ნაპირი სამხრეთზე მალალია. შეელა მხრით იმას უფლის ჩქარი მდინარე, სახელათ მკენი, რომელშიაც აქეთ სათავე ყველა წყაროებს, მდინარეებს და საშუალო ზღვებს. იმის ნაპირებზე დაბჯენილია სამყარო, რომელსაც შეადგენენ მეტალი, ჭიქა და ადამანტი. სეეტებათ იმას აქვს მთის ქედები, დასავლეთით-ატლასი, აღმოსავლეთით ძაკაზი. მთელი ქვეყანა იყოფა ორათ; ერთია-ნაწილი დღისა, მეორე-ნაწილი ღამისა. მზის ღმერთი ჰელიონი დღითი-ღღე ამობრწყინდება მზის ტბიდან, რომელიც შაზის აღმოსავლეთით ძევს და რომლის ნაპირებზედაც მდებარებს ძოლხიდა. დღისით ჰელიონი სამყაროზე მოგზაურობს, ოთხის ცხენით შემბულის ეტლით და ჰისპერიის იქით მკენის ზვირთებში ჩადის; ღამე კი დაჯადოსნოლის ნავით ჩრდილოეთის მხარეებში დაიარება. 2)

მოლადში ყველანი დარწმუნებულნი იყენენ, რომ ცა, ღმერთების სამყოფი, ძევს ლაქვაროვანს სამყაროს ზემოთ. ზოგოვთზე ზოგნი ჰგონებდნენ, რომ ის არის მიწის ღრმა ჯურღმულში, რომელსაც თავისი სავალები აქვს; ზოგნი ამტიკებდნენ, რომ ის იყოფა ორათ: ტარტარათ მარცხნივ, მლოზუმათ მარჯვნივ და მდებარებს ერთ გვარს სიღრმეზე დედა-მიწის პირის ყველა ნაწილები-სთვის. ჩასავალი აქვს, როგორათაც დასავლეთს, სადაც მზე და ვარსკვლავები ჩაიდან, აგრეთვე სხვა ადგილებში 3).

მრთის სიტყვით, ელიონები ჯერ ნამდვილი ბარბაროსები არიან. ავაზაკობა, კაცის ტაცება, ადამიანის მსხვერპლათ შეწირვა, კაცის მკამლობა, მრავალ ცოლ-ქრმოზა, დის შერთვა ცოლათ, სისხლის ზღვევა, აი რა თვისებას უჩვენებენ იმათში იმათივე ლეგენდები. მით ელიონების გეოგრაფია საესვა

1) Asie Mineure, II, 203, 204.

2) Asie Mineure, II, p. 18, 19. История Землевед. стр. 36, 39. История умств. разв. Европы, Дрездена, 1865, I, стр. 93.

3) История умств. разв. Европы, I, 31, 33.

რომ უპირველესი წელთა-მწერალი არის მრსე, რომელსაც თავისს „დაბადებაზე“ უტანია უძველესი თქმულება კაცობრიობაზე. საკვირველია, როგორ მოაღწია იმან აქამომდე. ჩვენ ვიცით, რომ ბერძნებზე უწინ ეგვიპტელებს და მეტადრე ფინიკიელებს უგროვებიათ სხვა და სხვა გვარი ცნობა სხვა და სხვა ტომებზე, მაგრამ ისინი თითქმის მთლათ დაკარგულან. მხოლოთ თვითო ორ-ოროლა ფაქტი შერჩენილა ბერძნების მწერლების მოთხრობაებში. „მცირე-აზიას, გვიამბობს მივიანი, გამოგვიხატავს უძველესი ელიონების გმირული თქმულება, რომელიც იმათთვის ზეპირ-სიტყვით გადმოუციათ იმათ წინაპრებს, პელაგებს. ამ თქმულებას ჯერ ელიონების სახალხო სიმღერა მოიხსენებს, მასუკან იონისისა და საბერძნეთის პოეტები შემოჰკრებენ. იმან ჩვენამდე მოაღწია გადასხვაეებით, არეულარეით. მაგრამ რაც უნდა სუსტი იყოს ის სხივი, რომელსაც ის ისტორიის წინა დროებაზე მოჰფენს, ის მაინც საკმაოთ გვიჩვენებს განვილიის ეპოქების წყველადში შესანიშნავს ისტორიულს და გეოგრაფიულს ფაქტებს. ამ გვარია, განაგრძობს მივიანი, ზღაპრის მსგავსი ლეგენდები ბელლოროფონზე, ტეზეოსზე, ჰერკულესზე და არგონავტებზე. უძველესი იმათგანი ჩვენ მიგვიძღვის 2 1/2 საუკ. წინ ტროადის დარღვევისა. ლეგენდა არგონავტებისა და იმათის მოთავესი იაზონისა გვიამბობს იმ ამბავს, რომელიც 1 1/2 საუკუნით ტროადის დარღვევის წინათ მომხდარა. ხოლო ტროადის დარღვევას უჩვენებენ 1200 წლ. ძრისტეს შობამდე 1)“.

ამ ლეგენდებიდან სჩანს, რომ ელიონები ჯერ დაბლა ხარისხზე დგანან ყოველის ფრით, ბერით დაბლა, ვიდრე ფინიკიელები. აი რამდენიმე ამისი დასამტიკებელი საბუთი. შეეყანა, ელიონების აზრში, მრგვალი და პტყელია; ნაპირები იმას აწეული აქვს, ასე რომ ჩრდილო ნაპირი სამხრეთზე მალალია. შეელა მხრით იმას უფლის ჩქარი მდინარე, სახელათ მკენი, რომელშიაც აქეთ სათავე ყველა წყაროებს, მდინარეებს და საშუალო ზღვებს. იმის ნაპირებზე დაბჯენილია სამყარო, რომელსაც შეადგენენ მეტალი, ჭიქა და ადამანტი. სეეტებათ იმას აქვს მთის ქედები, დასავლეთით-ატლასი, აღმოსავლეთით ძაკაზი. მთელი ქვეყანა იყოფა ორათ; ერთია-ნაწილი დღისა, მეორე-ნაწილი ღამისა. მზის ღმერთი ჰელიონი დღითი-ღღე ამობრწყინდება მზის ტბიდან, რომელიც შაზის აღმოსავლეთით ძევს და რომლის ნაპირებზედაც მდებარებს ძოლხიდა. დღისით ჰელიონი სამყაროზე მოგზაურობს, ოთხის ცხენით შემბულის ეტლით და ჰისპერიის იქით მკენის ზვირთებში ჩადის; ღამე კი დაჯადოსნოლის ნავით ჩრდილოეთის მხარეებში დაიარება. 2)

მოლადში ყველანი დარწმუნებულნი იყენენ, რომ ცა, ღმერთების სამყოფი, ძევს ლაქვაროვანს სამყაროს ზემოთ. ზოგოვთზე ზოგნი ჰგონებდნენ, რომ ის არის მიწის ღრმა ჯურღმულში, რომელსაც თავისი სავალები აქვს; ზოგნი ამტიკებდნენ, რომ ის იყოფა ორათ: ტარტარათ მარცხნივ, მლოზუმათ მარჯვნივ და მდებარებს ერთ გვარს სიღრმეზე დედა-მიწის პირის ყველა ნაწილები-სთვის. ჩასავალი აქვს, როგორათაც დასავლეთს, სადაც მზე და ვარსკვლავები ჩაიდან, აგრეთვე სხვა ადგილებში 3).

1) Asie Mineure, II, 203, 204.

2) Asie Mineure, II, p. 18, 19. История Землевед. стр. 36, 39. История умств. разв. Европы, Дрездена, 1865, I, стр. 93.

3) История умств. разв. Европы, I, 31, 33.

ზღაპრული თვისებით. ჩრდილოეთით მდებარე მთლიან ჰესპერიდისა, რომელიც ოქროს ვზაღებს ისხამს; აღმოსავლეთით არის მტილები და მზის დროს გასატარებელი საძოვრები, სამხრეთით-უზანკო ფიოპების ქვეყანა, რომელსაც ღმერთი ხშირათ ესტუმრებოდა. საშუალო-მისის ზღვანე სირენები თავისი სიმღერით შეაძენენ მგზავრებს. სიცილიაში ცხოვრებენ ერთ-თავლიანი ციკლოპები და კაცი-მკამელი ლესტრიგონები<sup>1)</sup>. სიერცე ქვეყნისა ელინების წარმოდგენით დიდი არა არის რა. იმათ იციან მხოლოდ ახლო-მახლო ადგილები; შორეულ მხარეებზე არეული წარმოდგენა აქეთ. უკიდურეს ადგილებს შეადგენენ—ჩრდილოეთით ჰიპერბორეების ქვეყანა, სამხრეთით მთიოპია, დასავლეთით ჰერკულესის სვეტები. ამ საზღვრებს იქით თვით ჰომერმაც არა იცის რა. შუა ადგილი ქვეყნისა მლადია. მცირე-აზიაში ჰომერმაც იცის ზღვის პირები ჰელესპონტიდამ როდოსამდე. ჰელესპონტს იქით, რამდენიც ის დაჰმორდება ზღვის პირს, იმდენათ იმისი ცნობა სუსტდება<sup>2)</sup>. ორფის არგონავტიკა, ანუ არგონავტების მოგზაურობა პოლხი-დაში იაზონის ბძანებლობას ქვეშ ოქროს რუნის საძებნელათ გვიამბობს, რომ „პონტის აღმოსავლეთით სცხოვრებდნენ ამაზონები (მეომარი დედაკაცი). იმათ მახლობლათ ბინადრობდნენ ხალხები, თობარენები და სხვა ტომები, რომელნიც ერთათ შეადგენდნენ მასუნის სამფლობელოს. ძველს ორფე უწოდებს „გველ ძედს. იმას აქვს ერცელი დაღმართები, მშვენების დეღეებით შემკული და მიწაში ღრმით ჩაწოლილი დიდი ყურე. აქ სუმისის მთის დაღმართებიც შემოსილია უცხო მშენით. აქ მომდინარებს მსწრაფლი არაქსი. არაქსიდა გამოდინარებენ თერმოდორი, შაზი, მანასი და იმის ნაპირებზე ცხოვრებენ კეთილშობილნი ტომნი—კოლხები, გენოხები და არაქსიონები. მანათლებით ყველა ტომებზე მაღლა დგანან პელაზგები და მდიდარი სამფლობელო ჰაეტისა (პოლხიდა<sup>3)</sup>“.

აზია, რომელიც ახლა მომატებულს ნაწილს ძველს-მეცნიერსა ჰქვიან, გავრცელდა მცირე-აზიად. ძველათ ეს მხარე იყოფოდა მთავრს-აქეთ აზიათ და მთავრს-იქით აზიათ. მთავრი, როგორათაც პირველს სტატიაში მოვიხსენეთ, არის შესანიშნავი და დიდი მთა, რომელიც მთელს მცირე-აზიას გაჰყოფს ორათ, სადაც აქეთ სათავე სხვათა შორის ჰალის, ახლანდელს შიზილ-მარაქს, მფრატს და ჰორახს. მთავრი მესხეთის მთების შუამავლობით უერთდება ძველს. მთავრი მთელს თავის სიგძეზე მოფენილია, როგორათაც უმეტესი ნაწილი მცირე-აზიისა, ეოლკანებით, რომელნიც ცხადათ ამტკიცებენ, რომ ის ცეცხლის მოქმედებას ამოუხეტქია დედა-მისის გულიდამ და ამ შემთხვევას დაუბადებია ელინების გამოხატულებაში სხვა და სხვა ზღაპრები ტიფონებზე, ჯოჯოხებზე...<sup>4)</sup> აზია არის დიდი ძველი სიტყვა. მლინების მითოლოგია ამ სიტყვას არქმევს მეუღლეს პრომეთეოსისას, რომელიც იყო შვილი იაფეტისა და მამა ლეკალიონისა, წარდგნა რომ დაბადა მლადიაში, რომელმაც შექმნა ადამიანი თიხისაგან და ჩაჰბერა იმას ზეციდამ ჩამოტაცებული ცეცხლი და რომელიც ამისთვის დასაჯა იუპიტერმა ასე, რომ ძველს მთაზე მილურსმა... საიღამ უნდა იყოს წარმოდგარი აზია? ამ სიტყვას ამისთვის მივაქცევთ განსაკუთრებით ყურადღებას, რომ ის ნათლათ გვიმტკიცებს, რაც უნდა ძველი იყოს სიტყვა, რომელსაც ეთნოგრაფიული მნიშვნელობა აქვს, ის არას დროს არ ივიწყება. „ჩინელების ლიტერატურ-

რა გვიმოწმებს, ამბობს მივიანე სენ-მარტენი, რომ საშუალო აზიაში სცხოვრებდნენ აზები, რომელნიც სხვა და სხვა დროს დასავლეთისკენ გაემგზავრნენ; ისინი ეკუთვნოდნენ იმ ნათესავს, რომელსაც ფესვი ჰქონდა მიმალისთან და შტოები გავრცელებული მეროპის დასავლეთამდე. მლინებმა ეს სახელი თავდა პირველათ არ იცოდნენ. აზებს ისინი უწოდდნენ სკივთებთ, რომელთაც ძველს მხარეში უწევდნენ. მართლაც ჩვენ ვიცით, რომ უუძველესს დროებში, აზები ანუ სკივთები ძველს მხარეში დასახლდნენ და აქედამ აზბრებდნენ გარეშე ქვეყნებს, სახლდებოდნენ კოლონიებით მფრატის ნაყოფიერს მინდვრებში, მცირე-აზიის ნაპირებში და მცერის (არხიპელაგის) ზღვის გარეშეში...<sup>5)</sup>

მივიანე სენ-მარტენი თავისი თხზულებაში დაწვრილებით უჩვენებს ძველ ტომებს, რომელნიც მცირე-აზიაში დასახლებულან. მსწრაფი ამ თხზულებისა განსაკუთრებით შესანიშნავია. რადგანაც მცირე-აზია შეადგენს, ამბობს ჩვენი მწერალი, საშუალო ადგილს აზიისას და მეროპისას, ამისთვის მცირე-აზიაზე ჰქონიათ მსვლელობა ზოგიერთს ძველს ტომებს. ზოგიერთს იმათგან აქ თავისი კვალი დაუტყვევია; ზოგი აქ დაჰკვიდრებულან. სხვა და სხვა ისტორიულს გარემოებას, ერთის ტომის დასხმას მეორეზე, ერთის მეორესთან შერევას ამოუფხვრია, შეუცვლია პირველი ტიპი ტომთა და ნათესავთა. შენიშნულია სტრაბონისაგან, რომელიც სცხოვრებდა პირველ საუკუნეში ძრისტეს შობის წინ, რომ თვით იმის დროს აქ ზოგიერთს ტომს დაკარგული ჰქონია თავისი ენა და თვით სახელი. და თუმცა ეს ასეა, მაგრამ იმ ტომების პოენა უიმედო არ არის. ამ საგანზე ისტორია შემწვობას არ გვაძლევს. ისტორია ან სულ არას გვიამბობს, ან წინააღმდეგს და ზღაპრულს საქმეებს მოგვითხრობს. ჩვენ უნდა დავმყარნეთ ზეპირ-სიტყვით ნაამბობს, პოეტების ნათქვამს, ენების ჩვენებას, ერთის ფაქტის შედარებას მეორესთან. ამ სახით შეიძლება ძველი დროები გავიაროთ, იმისი ბნელი წყველიდი გავარდვიოთ, თუმცა მართალია, ბევრი რამ დაგვრჩება გამოუკვლეველი“.

მს ფაქტები გვიჩვენებს, რომ მცირე-აზიაში ძველათ დამყარებულა ორის შთამომავლობის ნათესავი. მათს შეადგენს ინდო-ევროპიული გრუპა, მეორეს სემიტური, ანუ არამიელი გრუპა.<sup>6)</sup> პირველი არიან: პელაზგები, ტროადელები, ფრიგიელები, სკივთები და სხ. მეორენი არიან: კაპადოკიელები, კელიკელები, კარიელები და სხ. ინდო-ევროპიულს ნათესავს დაუტყვრია აღმოსავლეთი და სამხრეთი; არამიელებს—ჩრდილო-დასავლეთი. პირველი მოსულან პონტის ზღვის ჩრდილოეთით. მს მხარე ყოფულა საერთო გზა მთელის ინდო-ევროპიელის ნათესავისა, რომელიც ძველათ სხვა და სხვა დროს საშუალო აზიით შრალზე გადმოსულა. ამ გზაზე იმათ შეშხვედრათ მთა ადგილები და ღრმა დეღეები, რომელთაც შრაკია დარქმევია. შრაკია მდებარებდა ქვემო-ლეონისა, პონტოსსა, ადრიატიკასა და მცერის ზღვებს შორის. შრაკია იყო ისეთი ადგილი, სადაც თვითოეული ინდო-ევროპიული ტომი ხანობით ბინადრობდა. ამისთვისაც ისინი ყველანი ფრაკიელებათ იწოდებოდა. შრაკიდა იმისი სხვადა სხვა მხარეს მიემართებოდნენ: ზოგნი დასავლეთისკენ და ჩრდილო-დასავლეთისკენ მშვენების მცერის კიდებში და ნაპირ-ნაპირ მლადისა, ზემო-ლეონის ბასსინში და სხვადა-სხვა მეროპის მხარეებში; ზოგნი სამხრეთ-აღმოსავლეთით პროპონტიდისკენ და მცირე-აზიისკენ. ამას გარდა ინდო-ევროპიელებს სხვა გზაც ჰქონიათ, ესე იგი: სამხრეთი ძასპი-

ისა, მაზანდარანზე, მფრატის ბასსინისკენ<sup>7)</sup>. არამიელები მოსულან ორის გზით—ზღვით და ხმელეთით.<sup>8)</sup> ის დრო, როდესაც მომატებული ნაწილი ორისავე ნათესავისა მოგროვილა აქ, არა თუ ისტორიას, თვით მითოლოგიასაც არ ახსოვს. მხოლოდ მცირე ნაწილი შემოსულა ტროადის დარღვევის შემდეგ.

(შემდეგი იქნება).

**რუსეთის ამბები.**

რუსის იმეალიდში სწერენ დეკემბრის 22-დგან. იმპერატორის სამეცნიერო აკადემიაში გამოუგზავნია უფ. სენატორს ნ. სტოიანოვისკის ი. ა. პრილოვის თხზულებანი, რომელნიც აქამდინ არა სჩანდნენ და არც დაბეჭდილან სადმე. სტოიანოვისკი აცნობებს აკადემიას წიგნითა, რომ ეს თხზულებანი როდესმე აკადემიის წევრისა კარგი იქნებოდა, რომ პირველად გამოსცეს აკადემიამ; და რადგანაც შეეცდეთ, რომ ამ ცოტას ხანში აპრობს აკადემია გამოცემას სრულათ პრილოვის თხზულებათა, ამიტომ ჩემმა სიდედრმა და ჩემმა ცოლმა გამომაგზავნინეს იმისი თხზულებანი, რომელნიც ამოჩნდნენ ა. ნ. მლინთან, და გთხოვეს, რომ აქედგან დაბეჭდოთ ისა, რასაც აკადემია ნახავს საჭიროდ. ამასთან ბრატმა წაიკითხა მეორე წიგნი სტოიანოვისკისა, რომელთაც გამოგზავნა ახლად ამოჩენილი პრილოვის ზღაპარი „ქვიფი“ და ერთი იმისი ხელთნაწერი წიგნი მ. ა. მლინისისათან მიწერილი. დასდევს, რომ სტოიანოვისკის უთხრან დიდი მადლობა, და ამასთან აცნობონ ყველა აკადემიის წევრთ ისიცა, რომ მ. ფქენეიჩმა გამოგზავნა აგრეთვე პრილოვის კამედია „პიროგი“ რომელსაც აქამდე არავინა სცნობდა. მს კამედია ქენეიჩის მიუღია თეატრის დირექციის წევრისაგან, სახელად პ. ბ. შედაროვისაგან, რომელსაც გადმოუწერია პრილოვის ხელთნაწერისაგან. მს გამოუცემელი თხზულებანი გამოჩენილი მოზღაპრისა მალე დაიბეჭდება აკადემიის შერკრებლებაში.

შემთხვევა შიტომირში. ძიველი-ანში სწერენ შიტომირიდან:—თეატრის აფიშაში ეწერა, რომ ერთი ავტორი წაიკითხავს წარმოდგენაში ზუმრობას, სახელად „შრის ეგზამენი“. შეგირდებმა მისწერეს ამ ავტორს, რომ თუ ის ვაჰმედავს იმის წაიკითხავსა, მაშინვე ისინი დაუშტვენენ და ისე მოექცევიან, როგორც მოექცნენ ერთს ავტორს მდესსაში ამავე „შრის ეგზამენის“ წაიკითხვისათვის. რადგანაც არა სურდათ, რომ დაეშტენათ, ამიტომ ავტორმა აღარ წაიკითხა „შრის ეგზამენი“. მაგრამ როცა გაიგეს საზოგადოებაში ამ გვარი ვერაგობა ურჩების შეგირდებისა, მაშინვე დასდევს, რომ შემდეგს წარმოდგენაში იმავე ავტორმა წაიკითხოს ურჩების მოძულებული „ეგზამენი“. მს მაშინვე ასრულეს, წაიკითხეს პიესა და ისე მოეწონათ, რომ დიდს ხანს ტაშის კერა არ გაწყვეტილა, რომელშიაც მიიღეს მონაწილეობა თითონ ურჩებმა და შეგირდებმაცა.

ჩუღოვის მონასტრის ეკონომის, ბერი სტეფანეს, მომკვლელის დაჭერაზე. ანდრევის ტრახტირში, რომელიც არის მოსკოვში, შემოდის ერთი მონასტრის მსახური მწირი, სრულიად შემოსილი თავზედ სკუფითი, ანაფორით და ბრტყელი სარტყლითა. ამასთან არის გოგო და ერთათ უჭირაეთ ოთახი. მწირი, გრძელისთმებით და მონასტრის ტანისამოსით ტრახტირში

გოგოსთან იშვიათი შემთხვევა არის. მს ახმავე მაშინვე შეატყობინეს პოლიციასა, რომელიც იყო მზათ. შემთხვევა ჩუღოვის მონასტრში ყველამ იცოდა ქალაქში და ამიტომ უფრო ჩქარა შეატყობინეს პოლიციასა. ასე ჩქარა დაჭერა მომკვლელისა იყო თითონ დამნაშავეის გაუფთხილებლობისაგან, თორემ მდევნელთ მაგდენი მონაწილეობა არ მიუღიათ. მს დამნაშავე იყო ახალგაზდა 19 წლისა სენაკის მოსამსახურე.

დამნაშავემ მაშინვე აღიარა ყოველი... შულებმა მაცდინეს, თქვენი კეთილშობილება, უთხრა პოლიციის ჩინოვნიკსა, რომელმაც დაიჭირა. ამასთან უბოვეს 15 თუმანი, რომელიც ჰქონდა ჩაყვრებული ანაფორის ბაზმაში. იმან სთქვა, რომ 500 თუმანი ავიღო და ის კი არა სთქვა, სად არის ის ფული. შურო მგტს ავიღებდიო, მაგრამ სკივრი ვერ გავტყვო. მას თვითონ სკივრიც ამტკიცებს, რომელიც მართლად ნაწვალბი არის. სკივრში იყო ექვსი ათასი თუმანი და იმის გასაღებს ინახავდნენ საყდარში; ამიტომაც დამნაშავეს ვერ ეპოვა.

დამნაშავემა სთქვა: მოხუცებულს ეკონომს (ის იყო 77 წლისა) დაეარტყი ცულის ყუთო, როდესაც ის მობრუნდა საყდრიდან და დავა ტანსაცმითი ტახტზედ დასასვენებლათო. მხოლოდ ერთი შამოცრა, მაგრამ ისე მაგრად, რომ სისხლი და ტვინი მაშინვე გადასხმულიყო იქით.

ბუშინ ბერსა მარხავდნენ და დამნაშავეც მოიყვანეს გამოსასაღებლად. როდესაც ჩუღოვის მონასტრში მოიყვანეს დამნაშავე, მაშინვე სულყველაფერში გატყდა. პირველი ჩვენება კი იყო დაწერილი ტრახტირში, სადაც დაიჭირეს. რომ გამოიყვანეს ტრახტირიდან, მაშინვე დაუშტინეს და მოაგროვეს დესტრეცები, რომ არ გავუქცესო; მაგრამ არცეი გამოიჩინა გაქცევის წადილა. დამნაშავემ სთქვა, რომ ვსამო და ვიდრე ტრახტირში მივიღოდა—ამბობენ, მთვრალმა სთქვაო—ბევრი ფული მაქვსო და ეჭვი უფრო ამით აიღეს.

**საკირო ამბები.**

შოჩტები. ორშაბათობით მრევანში, სამშაბათობით ბაქოს მსუბუქი უფულო კორრესპონდენცია; ოთხშაბათობით: რუსეთში, მრევანში, ალექსანდრეპოლში და შუთაისში, შოთის გზაზედ. შოჩტის ეკიპაჟები: ორშაბათობით სამშაბათობით და ოთხშაბათობით ძველში; კვირაობით და ოთხშაბათობით შუთაისში.

შაბათობით: რუსეთში, ბაქოში და მრევანის გუბერნიაში მიდის, კვირაობით-რუსეთში ფოჩტის ეკიპაჟები შაბათობით: პიატიგორში, ძველში—ყოველთვის სალამოს 4 საათზე

თბილისის საზოგადოებრივ-მეტეკალია არის სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით სალამოს 5 საათიდან 9 მდინ. ორშაბათობით, ოთხშაბათობით, და პარასკეობით სალამოდის.

ძველს მსუბუქი ვალდებული კვირაობით, სამშაბათობით და ხუთშაბათობით, დილის 10 საათიდან სალამოს 3—მდინ.

სამკურნალ მომსვლელები ავათმყოფებისათვის ვალდებულია მულამდე დილის 9 საათიდან 1—მდინ.

თბილისის უცხო პირუტყვთა და მცენარეთა მოსაშენებელი ბაღი არის ღია საზოგადოებისათვის უფასოდ, სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით დილის 11 საათიდან სალამოს 4 1/2—მდინ.

<sup>1)</sup> История Земли. стр. 40. Asie Mineure, II, p. 20, 242.  
<sup>2)</sup> История Земли. стр. 40. Asie Mineure, II, p. 20, 242.  
<sup>3)</sup> Asie Mineure, II, 165, 218, 221.  
<sup>4)</sup> Asie Mineure, II, p. 157, 208, 258.

<sup>5)</sup> Ibid. p. 158—164.  
<sup>6)</sup> Ibid. 164, 199, 200.

<sup>7)</sup> Asie Mineure, II, p. 166, 197, 198, 229, 230, 299. Recherches... p. 29.  
<sup>8)</sup> Asie Mineure, II, 194.